ინფორმაცია პროევროპული აქციების მონაწილეების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მიმდინარე რეპრესიების შესახებ საქართველოში
ნაწილი VIII
(2025 წლის ივლისი – სექტემბერი)

ანგარიში მომზადებულია ორგანიზაციების - "საქართველოს ევროპული ორბიტა" და საქართველოს უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ. დოკუმენტი წარმოადგენს საინფორმაციო მასალას და აერთიანებს ადამიანის უფლებათა იურისტების მიერ შეგროვებულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასკვნებსა და სამართლებრივ შეფასებებს.

გთხოვთ, იხილოთ 2025 წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლთა, ძალადობის სამიზნე ჟურნალისტთა და პოლიტიკური მოტივებით დაპატიმრებული პირების საქმეებზე მონაცემთა ბაზები შემდეგ ბმულზე: https://europeanorbit.ge/eng/news/39

- **მიმდინარე პროტესტი**

საქართველოში 10 თვეა უწყვეტად, ყოველდღიურ რეჟიმში გრძელდება საპროტესტო გამოსვლები, რომელიც 2024 წლის 28 ოქტომბერს "ქართული ოცნების" ევროპული კურსიდან გადახვევის პოლიტიკის გამოცხადების გამო დაიწყო. მოქალაქეები, მათ წინააღმდეგ გამოყენებული სასტიკი ფიზიკური, საპატიმრო და ფინანსური რეპრესიების მიუხედავად, ყოველდღიურად იკრიბებიან დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში და ითხოვენ საქართველოს ევროპული კურსის აღდგენას, ახალი სამართლიანი არჩევნების ჩატარებასა და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას.

2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებული 85 აქტივისტისა და პოლიტიკოსიდან:

- 52 უკვე გასამართლებულ იქნა და მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა;
- 9 რჩება წინასწარ პატიმრობაში;
- 11-ს აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული აქვს გირაო;

- 13 პირი თავისუფალია - მათგან შვიდს მიესაჯა არასაპატიმრო სასჯელი, სამი გამართლდა წაყენებულ ბრალდებაში, ერთმა უკვე მოიხადა სასჯელი, ხოლო ორს შეეხო შეწყალება.

მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეთა, ჟურნალისტთა, აქტივისტთა და პოლიტიკოსთა წინააღმდეგ ჩადენილი დოკუმენტირებული დანაშაულების: თავდასხმის, მძიმე ფიზიკური დაზიანების, არაადამიანური მოპყრობის, მათ შორის, წამებისა და ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის არცერთ ფაქტზე პასუხისგებაში არავინ მიცემულა. რეჟიმმა ფიზიკურად იძალადა და სისტემურად აწამა ასობით დემონსტრანტი ძალის და/ან უცნობი ქიმიური გამღიზიანებლების გამოყენებით, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის გაუარესების გრძელვადიანი ეფექტები. აშკარა ფაქტების საწინააღმდეგოდ, "ქართული ოცნების" პრემიერ მინისტრი, ირაკლი კობახიძე არ აღიარებს ძალადობის მასშტაბს და აცხადებს, რომ პოლიციელთა მხრიდან ძალადობის მხოლოდ "ორი-სამი შემთხვევა" იყო.

- **ფიზიკური თავდასხმები პრო-დასავლური პროტესტის მონაწილეებზე და ჟურნალისტებზე**

„ქართული ოცნების" მიერ დაფინანსებული და ორგანიზებული არაფორმალური დაჯგუფების წევრები, ე.წ. ტიტუშკები 8 სექტემბერს რკინის ჯოხებით თავს დაესხნენ და იძალადეს მერობის კანდიდატის, კახა კალაძის საარჩევნო შტაბის წინ შეკრებილ აქციის მონაწილეებზე. **განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენდნენ ქალები და ჟურნალისტები,** რომელთა ნაწილს წაართვეს მობილური ტელეფონები, სცემეს და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელი შეუშალეს. ადგილზე მობილიზებულ პოლიციას რეგირება არ ჰქონია ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან განხორციელებულ თავდასხმებზე, მათ შორის პოლიციელთა მიმართაც, მეტიც, პოლიცია ეხმარებოდა მოძალადეებს და თავად მონაწილეობდა ჟურნალისტისთვის ხელის შეშლასა და შეურაცხყოფაში.

მედიის და აქტივისტების მიერ იდენტიფიცირებული მოძალადეები არ დაისაჯნენ. ხოლო აქციის მონაწილე ქალის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა საარჩევნო ბანერზე გაკეთებული წარწერის გამო.

მშვიდობიანი პროტესტი მონაწილეებზე თავდასხმაში პასუხისმგებლობა საჯაროდ "აღიარა" „ქართული ოცნების" პარლამენტის წევრმა, დიმიტრი სამხარაძემ. მშვიდობიანი პროტესტის მონაწილე ქალებზე საუბრისას შეურაცხმყოფელი და სექსისტური ენა გამოიყენა მოქმედმა მერმა და მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ.

- **პოლიციის მხრიდან ქალ აქტივისტებზე ძალადობა გრძელდება**

პოლიციამ 2 სექტემბრის აქციაზე ძალადობის თანხლებით დააკავა 24 პირი, ამ დღეს პოლიციის მხრიდან აგრესიის განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენდნენ ქალები, პოლიციელთა მხრიდან დაკავების დროს პროტესტის მონაწილეთა მიმართ უხეშ

დამოკიდებულებასა და ძალის გამოყენებაზე მიუთითა სახალხო დამცველმაც. დაკავებულების ნაწილს სხეულზე აღენიშნებოდა ხილული დაზიანებები, ძირითადად, შეშუპებები, სიწითლეები და სისხლნაჟღენთები კიდურებზე.

აქტივისტი ქალების წინააღმდეგ ორგანიზებულ ძალადობასთან ერთად აქტიურად გამოიყენება პირადი ინფორმაციის გავრცელებისა და დისკრედიტაციის ორგანიზებული კამპანია, მათ შორის, სამედიცინო, სტიგმისხელშემწყობი დეზინფორმაციული ინფორმაციის მიზანმიმართული გავრცელება.

დაკავებული ქალების წინააღმდეგ ღირსებისშემლახავი პრაქტიკის - დაკავების შემდგომ სრული გაშიშვლების პრაქტიკის გამოყენება კვლავ გრძელდება. ქალები და ჟურნალისტები ფიზიკური ძალადობის და ღირსების შემპახავი მოპყრობის მსხვერპლნი ხდებიან თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურების მხრიდანაც.

პირველად დამოუკიდებლობის ისტორიაში, საქართველოში ოთხი პოლიტპატიმარი ქალია.

- **ფინანსური რეპრესიები აქციების მონაწილეთა წინააღმდეგ**

პროტესტის მონაწილეთა მიმართ შეფარდებული ფინანსური ჯარიმები რიგ შემთხვევებში მეოთხედ მილიონ ლარს აღწევს. მძიმე ფინანსუსი ჯარიმების გადაუხდელობის გამო სასამართლოებმა დაიწყეს აქტივისტების ქონების და ანგარიშების დაყადაღება. ასევე, სანქციის სახით პროტესტის მონაწილეებისთვის ხანგრძლივი, 15 და 20 დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობების შეფარდება, მათ შორის ქალებისთვის.

პარალელურად, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, პროტესტში მონაწილეობისთვის გამოწერილი ჯარიმის გადაუხდელობის გამო დაიწყეს აქტივისტების ოჯახის საცხოვრებელი სახლის და ნივთების აღწერა.

- **მედიის რეპრესია**

მედიის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიული პოლიტიკის, მედიის დაფინანსების ამკრძალავი კანონების მიღების შედეგები უკვე სახეზეა - მაღალპროფესიული ონლაინმედიის უმრავლესობა დახურვის საფრთხის წინაშეა. რეგიონალური მედიების უმრავლესობამ ყოველდღიური ამბების გაშუქება შეწყვიტა. დამოუკიდებელი მედიის გადასარჩენად შეიქმნა 22 ონლაინ გამოცემის ერთიანი პლატფორმა - „სინათლე არ უნდა ჩაქრეს“. ასობით მოქალაქის შემოწირულებით, შესაძლებელი გახდა რეგიონული მედიის აუცილებელი საჭიროებების პირველადი დაფარვა, თუმცა საფრთხე განგრძობადია.

განსაკუთრებულ სამზნეს წარმოადგენს კრიტიკული ტელევიზიები, რომელთა წინააღმდეგაც თავდასხმებისა და შევიწროების კამპანია მიმდინარეობს. “ქართული ოცნების” პროპაგანდისტულმა არხებმა გაავრცელეს ცრუ ინფორმაცია კრიტიკული ტვ პირველის ტერიტორიაზე ოპოზიციის საიდუმლო შეხვედრების შესახებ. აღნიშნული დეზინფორმაცია

ტვ პირველის მიერ შეფასდა, ტელევიზიის ტერიტორიაზე შესვლისა და არხის მაუწყებლობის შეწყვეტისთვის ნიადაგის მომზადებად.

- **რეპრესიები ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ**

„ქართულმა ოცნებამ“ აამოქმედა სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ მიღებული დრაკონული კანონები. დამოუკიდებელი, კრიტიკული ორგანიზაციებისთვის დაფინანსების მიღება “ქართული ოცნების” ნებართვაზე დამოკიდებული გახდა, რის გამოც, ორგანიზაციების უმრავლესობას საქმიანობის შეწყვეტა მოუხდა, ან უახლოეს პერიოდში შეწყვეტს.

“ქართული ოცნების” ანტიკორუფციულმა ბიურომ წამყვანი ორგანიზაციების ნაწილს აგენტად რეგისტრირება მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სისხლის სამართლის დევნით დაემუქრა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა კიდევ ერთხელ, საჯაროდ განაცხადეს, რომ არ აპირებენ უცხო ქვეყნების ინტერესების გამტარებლად რეგისტრირებას, რადგან როგორც ქართულ ორგანიზაციებს კანონით არ ეკუთვნით ამ რეესტრში რეგისტრაცია. რეპრესიის აღნიშნული ტალღა დამატებით 30 ორგანიზაციას შეეხო.

საქმიანობის ამკრძალავი კანონების ამოქმედების პარალელურად, წამყვანი ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგ სისხლის სამართლის წესით დევნა დაიწყო ე.წ. „საბოტაჟის“ საქმეზე, რომლის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელები პროკურატურაში გამოსაკითხად დაიბარეს. გამოძიება მათ ედავებათ მიტინგების დარბევების დროს ველზე მყოფი თანამშრომლებისთვის დამცავი საშუალებების (პირბადეების, ანტისეპტიკური საშუალებების, საწვიმარი ქურთუკების და სხვ.) შეძენას.

ამავე საქმის ფარგლებში სასამართლოს თანხმობით დააყადაღეს 7 ორგანიზაციის საბანკო ანგარიშები. ორგანიზაციების განცხადებით, ამ გადაწყვეტილებამ მათი პარალიზება მოახდინა, მაგრამ მოხალისეობრივ საწყისებზე მაინც გააგრძელებენ საქმიანობას, მათ შორის, ბენეფიციარების ინტერესების დაცვას. სასამართლოში დაბარებულ პირებს შორის არიან: ეკა გიგაური (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო - TI), თამთა მიქელაძე (სოციალური სამართლიანობის ცენტრი), გიორგი მშვენიერაძე (დემოკრატიის მცველები), ლევან ნატროშვილი (სამართლიანი არჩევმებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ISFED), ნინო დოლიძე, ალეკო ცქიტიშვილი (ადამიანის უფებათა ცენტრი), გიორგი კლიდიაშვილი (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი IDFI), ბაია ბატარაია (საფარი), ლელა ცისკარიშვილი ("ადამიანის უფლებათა სახლის" თავმჯდომარე , „საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ (GCRT)).

ცხრა საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ დაგმო უფლებადამცველ და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებზე „ტოტალური თავდასხმა“ და მოუწოდა ხელისუფლებას „დაუყოვნებლივ და უპირობოდ“ შეწყვიტოს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ჯგუფების დევნა, ხოლო ევროკავშირს - მოახდინოს სასწრაფო რეაგირება. სამოქალაქო ორგანიზიციებზე გაზრდილ ზეწოლასა და მათთვის სივრცის სულ უფრო დავიწროვებაზე ღრმა შეშფოთება გამოთქვა ეუთომაც.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტისა“ და „ქართული ოცნების“ სხვა რეპრესიული კანონების წინააღმდეგ შვიდი არასამთავრობო და მედია ორგანიზაციის ერთობლივი საჩივარი რეგისტრაციაში გაატარა.

- **რეპრესიები პოლიტიკური ლიდერებისა და პარტიის მიმართ**

გრძელდება ოპოზიციონერი პოლიტიკოსების დევნა. ე.წ. პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე გამოუცხადებლობის გამო (რომლის შექმნის კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ არის) დააპატიმრეს 8 მოქმედი და ყოფილი პოლიტიკოსი, მათ შორის პოლიტიკური პარტიების ლიდერები. მოგვიანებით, გაათავისუფლეს მხოლოდ 2 პოლიტიკოსი, რომლებიც 2025 წლის 4 ოქტომბერს დაგეგმილ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აპირებენ მონაწილეობის მიღებას.

მიმდინარე პერიოდში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა დამატებით სამ პოლიტიკოსზე, რომელთაგან 2, მათ შორის ქალი ლიდერი, წინასწარ პატიმრობაშია. შესაძლო ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება “ქართული ოცნების” ყოფილ პრემიერსა და ამჟამინდელ ოპოზიციონერ გიორგი გახარიას, რომელმაც ქვეყანა პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის დევნის საფრთხის გამო დატოვა. **შესაბამისად, ამჟამად, პატიმრობაში რჩება 10 პოლიტიკოსი, ხოლო ერთი დევნილობაშია.**

„ქართული ოცნების“ პარლამენტში მუშაობა დაასრულა დროებითმა საგამოძიებო კომისიამ, რომლის გაცხადებული მიზანი იყო წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდის შესწავლით, პოლიტიკური რეპრესიის, ოპოზიციური პარტიებისა და პოლიტიკოსების აკრძალვის საფუძვლის შემზადება. დასკვნის ავტორების თქმით, მის საფუძველზე უნდა მოხდეს საქართველოს უახლესი ისტორიის გადაწერა . კომისიის მიერ ომზადებული დასკვნით მოხდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის ბრალის შემსუბუქება, კერძოდ, ომის პროვოცირებასა და სამხედრო ოპერაციებზე პოლიტიკური გავლენის მოხდენაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ბრალის გამოკვეთა.

“ქართული ოცნების” განმარტებით, საგამოძიებო კომისიის 460-გვერდიანი დასკვნის საფუძველზე მომზადდება სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში წარსადგენად, რომლის მიზანიც, სავარუდოდ, ყოფილი სახელისუფლებო პარტიის - “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” აკრძალვა იქნება. დასკვნა გადაიგზავნება პროკურატურაშიც.

- **პოლიტიზირებული მართლმსაჯულება**

პირველი ინსტანციის სასამართლოებში დასრულდა საპროტესტო აციებში მონაწილეობის გამო დაკავებულთა უმრავლეობის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვები. პროცესები განზრახ იმგვარად იყო დაგეგმილი, რომ განაჩენი წინასწარი პატიმრობის ვადის ამოწურვამდე დამდგარიყო და დაკავებულების თუნდაც დროებითი გათავისუფლება არ მომხდარიყო. დამოუკიდებელმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა დოკუმენტურად დაადასტურეს

აღნიშულ საქმეებში საქართველოს სასამართლო ხელისუფლების მხრიდან სისტემური მიკერძოებული მიდგომა.

პოლიტიკური პატიმრების საქმეთა განმხილველმა სასამართლომ, პოლიტიკური დაკვეთის შესამისად, კოორდინირებულად, საპროტესტო აქციებში მონაწილეობისათვის დაკავებულ პრაქტიკულად ყველა პირს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა. ნარკოდანაშაულებში ბრალდებული 6 პირიდან მხოლოდ 3 გამართლდა. **აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენებული საპატიმრო სასჯელები 2 წლიდან 8.6 წლამდე მერყეობს.**

ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შემზრავი დარღვევების მასშტაბის, სასამართლოში გამოვლენილი აშკარა ცრუმოწმეობის მიუხედავად, არცერთი სამართალდამცავი არ მიცემულა პასუხისგებაში.

- **გათავისუფლებები საჯარო სექტორში**

საჯარო სექტორში გრძელდება პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებების პრაქტიკა. საანგარიშო პერიოდში \ რეპრესიები შეეხო ფაქტობრივად ყველა საჯარო დაწესებულებას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. მათ შორის, თანამშრომლები დაითხოვეს საგარეო საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს საელჩოებიდან, თავდაცვის სამინისტროდან, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან, თელავის უნივერსიტეტიდან, ეროვნული ბიბლიოთეკიდან.

- **2025 წლის 4 ოქტომბერის თვითმმართველობის არჩევნები**

2025 წლის 4 ოქტომბერს გასამართი თვითმმართველობის არჩევნებისთვის „ქართული ოცნება“ 64 მუნიციპალიტეტიდან ძირითადი ოპოზიციონერი კონკურენტების გარეშე 28 მუნიციპალიტეტში რჩება.

არჩევნები სამოქალაქო ორგანიზაციების დევნისა და დაპატიმრებული ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ფონზე მიმდინარეობს. პირველად საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში, არჩევნები კვალიფიციური და დამოუკიდებელი ადგილობრივი და საერთაშორისო დაკვირვების გარეშე ჩაივლის. დაგვიანებული და ფორმალური მოწვევის გამო არჩევნებზე დაკვირვაზე უარი განაცხადა ეუთო/ოდირმაც.

- **ანტიდასავლური პროპაგანდა**

კრიტიკული მედიის და სამოქალაქო სექტორის განადგურების ძალისხმევასთან ერთად, “ქართულმა ოცნებამ” ანტიდასავლური პროპაგანდა გააძლიერა და ინტენსიური გახადა. “ქართული ოცნების” მთავარ პროპაგანდისტულ არხზე დაიწყო გადაცემების სერია „ევროანატომია“, სადაც ტელეკომპანიის განცხადებით, “ევროპის ბნელ მხარეზე” ისაუბრებენ.

ამავე ტენდენციას აგრძელებს მეორე პროპაგანდისტული ტელევიზია რუსთავი 2, სადაც, მაგალითად, არაერთი სიუჟეტი მიეძღვნა საფრანგეთის პირველი ლედის, ბრიჯიტ მაკრონის შესახებ რუსულ დეზინფორმაციას - "ბრიჯიტი თუ ჟანი - ვინა არის მაკრონის ცოლი".

განსაკუთრებული თავდასხმის სამიზნეები არიან გერმანიის და ევროკავშირის ელჩები. ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარემ საარჩევნო შტაბზე თავდასხმის მხარდაჭერაში გერმანიის ელჩი დაადანაშაულა. ამასთან, ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევასა და ვენის კონვენციის დარღვევაში დადანაშაულების ფონზე, პირველად საქართველოს ისტორიაში, საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ელჩები. გერმანიის საგარეო უწყებამ კატეგორიულად დაგმო აღნიშნული უსაფუძვლო დაბარება და ელჩის მიმართ აგრესიულ რიტორიკა. საქართველოს მოქალაქეებმა მხარდაჭერის ნიშნად გერმანიის საელჩოსთან გერმანია-საქართველოს მეგობრობის მარში გამართეს.

ევროკავშირის წარმომადგენლობამ და პარტნიორი სახელმწიფოების საელჩოებმა საქართველოში ერთობლივი განცხადებით, მტკიცედ უარყვეს დეზინფორმაცია და ბრალდებები მათი მხრიდან საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის შესახებ.

- **საერთაშორისო რეაგირება**

საქართველოს დემოკრატიის "სერიოზული უკუსვლის" საპასუხოდ, ევროკომისია უვიზო მიმოსვლის შეჩერებას განიხილავს. საქართველოსგან მოითხოვნილია სადავო კანონების გაუქმება და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. "ქართული ოცნების" საგარეო საქმეთა სამინისტრომ რეკომენდაციების შესრულების ანგარიში წარუდგინა ევროკომისიას, თუმცა მის შინაარს არ ასაჯაროვებს.

ევროპარლამენტის განცხადებით, ათწლეულების დემოკრატიული პროგრესის შემდეგ, საქართველო სახელმწიფოს მიტაცების მსხვერპლია. ახალი სამართლიანი არჩევნების ორგანიზებამდე, ევროპარლამენტი გააგრძელებს საქართველოს ერთპარტიული პარლამენტისა და პრეზიდენტის არაღიარებას და მოუწოდებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, სანქციები დაადონ "ქართული ოცნების" საკვანძო ოფიციალურ ფიგურებს.

საქართველოს საკითხზე მოსმენა გაიმართა ჰელსინკის კომისიის სხდომაზე - პარტნიორიდან პრობლემამდე: საქართველოს ანტიამერიკული გადახვევა, სადაც მეხუთე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც მონაწილეობდა.